

შპს სილქვეი ინდასტრიზ
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. სავაჭრო ვალდებულებები	14
9. ამონაგები	14
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
11. სხვა შემოსავალი	15
12. კომერციული დანახარჯები	15
13. ადმინისტრაციული დანახარჯები	15
14. ფინანსური დანახარჯები.	16
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს სილქუეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	607,006	332,657
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	5	1,829,789	900,059
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	648,832	695,096
სულ მიმდინარე აქტივები		3,085,626	1,927,812
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	856,476	698,162
სულ გრძელვადიანი აქტივები		856,476	698,162
სულ აქტივები		3,942,102	2,625,974
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	246,044
საფაქრო ვალდებულებები	8	1,558,146	947,286
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		1,580	813
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,559,806	1,194,223
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ზანაძის სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		1,559,806	1,194,223
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		2,382,296	1,431,751
სულ საკუთარი კაპიტალი		2,382,296	1,431,751
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,942,102	2,625,974

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 08 თვის პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები შე-ნ დან 17-ე გვერდის საფუძველზე შედგენილია ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)


(ლარი)


	შენიშვნა	2018
ამონაგები	9	7,481,761
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(5,578,686)
საერთო მოგება		1,903,076
სხვა შემოსავალი	11	349
კომპოტიული დანახარჯები	12	(331,703)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(407,487)
სხვა ხარჯები		(5,483)
დადებითი საკურსო სხვაობა		77,943
ფინანსური შემოსავალი		-
ურყოფითი საკურსო სხვაობა		(81,768)
ფინანსური დანახარჯები	14	(16,203)
მოგება დაბეგვრამდე		1,138,725
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მიმდინარე წლის მოგება		1,138,725

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 08 ნოემბრის შპს-ის პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი





03 გენი ჯიხვაძე

03 ბა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	0	1,431,751	-	1,431,751
სხვა ცვლილება	(0)			(0)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,138,725	-	1,138,725
დივიდენდის განაწილება		(188,179)		(188,179)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	2,382,297	-	2,382,297

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 08 ნოემბრის თვეში:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



მენი ჯიხვაძე

იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დას 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „სილქვეი ინდასტრიზ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2016 წლის 31 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 412718242, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. 88, (ნაკვეთი # 01/298) , (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა)

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

ანდრო ამირანაშვილი (რუსეთი) (პ.ნ 01011019045)-65.0 %

სერჟი ბულჰაკოვ 2997807176, EX168469, 60391001270 - 25.0 %

ევგენი ჯიხვაძე (პ.ნ: 60001006702) – 10,0 %

კომპანიის დირექტორია : ევგენი ჯიხვაძე (პ.ნ: 60001006702)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა ელექტრო საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, ამ საქონლის იმპორტი და ექსპორტი.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციასწარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანია ქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი

გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, აფასების სხვაობაზე დარიცხული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

კომპანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის და „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია როგორც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით და გათავისუფლებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისაგან. შესაბამისად კომპანიას არ აქვს დღგ გადასახადის ვალდებულება, საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება, ქონების გადასახადის ვალდებულება, მოგების გადასახადის ვალდებულება და აქვს ვალდებულება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საწარმოსი) საქონლის მიწოდების/შემძენის შემთხვევაში მიღებული/მისაღები შემოსავლის ან გადასახდელი თანხის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების/შემძენის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	56,263	25,043
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	155	1,761
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	550,588	305,853
სულ	607,006	332,657

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,224,652	323,964
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	525,567	575,895
წინასწარ გადახდილი იჯარის გადასახადი	79,570	200
სულ	1,829,789	900,059

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები წარმოდგენილია:

	2018	2017
საქონელი	606,779	692,006
ნედლეული	7,734	3,090
დაუმთავრებელი წარმოება	34,319	
სულ	648,832	695,096

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	დაუდგმელი მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	673,992	2,661	895	21,599	-	280	699,427
შემოსვლა	156,743	1,750	320		34,582	791	194,186
გასვლა	(34,582)						(34,582)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	796,153	4,411	1,215	21,599	34,582	1,071	859,031
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	(350)	(195)	(720)	-	-	(1,265)
ცვეთის ხარჯი	-	(411)	(183)	(696)	-	-	(1,290)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა							-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(761)	(378)	(1,416)	-	-	(2,555)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	673,992	2,311	700	20,879	-	280	698,162
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	796,153	3,650	837	20,183	34,582	1,071	856,476

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები

	2018	2017
მიწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,362,268	910,485
მიღებული ავანსები	193,248	34,171
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,630	2,630
სულ	1,558,146	947,286

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს არარეზიდენტი კომპანიები.

9. ამონაგები

კომპანიის 2018 წლის ამონაგები შედგება:

	2018
საქონლის რეალიზაცია	7,025,142
სატრანსპორტო მომსახურება	456,619
სულ	7,481,761

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5,556,607
სხვა საოერაციო ხარჯი	18,936
მომსახურება	3,142
სულ	5,578,686

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისას გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასების მეთოდი.

11. სხვა შემოსავალი

	2018
არასაოპერაციო შემოსავალი	349
სულ	349

12. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2018 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2018
რეკლამის ხარჯი	146
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	330,219
მიწოდების სხვა ხარჯი	1,338
სულ	331,703

13. ადმინისტრაციული დანახარჯები

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	2018
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	150,556
საიჯრო ქირა	7,995
კომუნიკაციის/კავშირგაბმულობის ხარჯები	2,490
კომუნალური ხარჯი	2,774
ავტოტექმომსახურება	13,160
კომპიუტერის ხარჯი	60
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	212,030
ცვეთა და ამორტიზაცია	1,290
მოსაკრებელი	784
საბანკო ხარჯები	13,232
სამეურნეო ხარჯი	3,115
სულ	407,487

14. ფინანსური დანახარჯები

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
მოცდენის ჯარიმა	734
დებიტორების მიერ დარიცხული ჯარიმები	15,449
საგადასახადო ჯარიმები და საშრავეები	20
სულ	16,203

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 08 ნოემბერს.